ჩემო საშობლო მხარეო,
დრამაში ვიჩაგრებოდი
კინოში ვავიხარეო!



ი. სუხიშვილი, ნ. რამიშვილი

მსოფლიო შემოიარეს
მთგან განცვივრდა ყოველი,
ძველი კარგია, მაგრამ ზვალ,
ახალ პროგრამას მოველით!
ფეხით დაიპყრეთ ქვეყნები,
გაღარებთ ოქროს ბეჭედსა,
„სჯობს სახელისა მოხვეჭა“
ყოველისა მოსახვეჭელსა!”

კავკასიის ხალხთა ეროვნული კოსტუმი

გერცელ ჩაჩაშვილი


ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

კავკასიის მდიდარი და მომხიბლავი ბუნების, მისი მრავალეროვანი მოსახლეობის თვითმყოფი კულტურისა, ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა აღწერილობას მეტ-ნაკლები სახით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უძველეს მითოლოგიასა და მწერლობაში. დედამიწის ეს ერთ-ერთი უღამაზესი კუთხე და მისი მოსახლეობა საუკუნეთა განმავლობაში მრავალი უცხოელი მოგზაურისა და სწავლულის შეუნდევნებელ ინტერესს იწვევდა. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს ინტერესი მას შემდეგ, რაც კავკასია და მისი წიაღისეული სიმიდღერე მსოფლიო პოლიტიკის ორბიტაში მოექცა.

ბურჟუაზიულმა სწავლეულებმა სხვადასხვა ჯურის ყალბი თეორიები შექმნეს კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ისტორიის, ეთნოგენეზის, ენების, ყოფისა და კულტურის შესახებ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ კავკასიელებს თვითონ კი არ შეუქმნიათ თავიანთი მაღალი მრავალსაუკუნოვანი კულტურა, არამედ მათ ის შეთვისებული აქვთ „დიდი ხალხებიდან“, რომელთაგონაც კავკასია წარმოადგენდა მსოფლიო შარაგზას ხალხთა დიდი მოძრაობის ისტორიულ პროცესში.

საბჭოთა ენათმეცნიერებამ, ისტორიასა, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიასა და ცოდნის სხვა დარგში მოპოვებულმა შედეგებმა გააქარწყლეს ეს არამეცნიერული და უსუსური თეორიები. ამ თეორიათა საწინააღმდეგოდ გაიკვია, რომ კავკასია წარმოადგენს ძველი აღმოსავლეთის კულტურულ სამყაროსთან უშუალო კავშირში მყოფ მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ ისეთ უძველეს კერას, სადაც ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ბინადარი ცხოვრების საფუძველზე ჩამოყალიბდა მიწათმოქმედების მაღალი კულტურა, განვითარებული მესაქონლეობა, მეტალურგიული წარმოება, ხუროთმოძღვრება, ხელოსნობის მრავალი სახეობა, მდიდარი ფოლკლორი, მუსიკა, დამწერლობა, ლიტერატურა, ხალხური მედიცინა და კულტურის სხვა ისეთი თვითმყოფი ელემენტები, რომლებიც განსაზღვრავენ მისი მრავალფეროვანი მოსახლეობის ეთნიკურსა და ნაციონალურ სპეციფიკას. კავკასიის ხალხებმა კულტურის ეს ძირითადი ელემენტები შექმნეს საზოგადოებრივი განვითარების ხანგრძლივ პროცესში მდიდარი ემპირიული ცოდნის, საწარმოო გამოცდილებისა და შრომითი ჩვევების საფუძველზე და ამით მათ მსოფლიო კულტურის საგანძურში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. კავკასიის ხალხთა კულტურის ამ ფონდში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტანსაცმლის იმ ნაირსახოვან ფორმებს, რომლებიც თავისებურად ასახავენ კავკასიის მკვიდრთა ყოფისა და კულტურის, მხატვრული გემოვნებისა და ზნე-ჩვეულებათა თვითმყოფ ხასიათს.

კავკასიის ხალხთა კოსტუმი ისევე, როგორც კულტურის სხვა მონაცემები, საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა. სპეციალისტთა მიერ დადგენილია, რომ ამ ტანსაცმ-



გამოფენის ერთ-ერთი კუთხე

ლის ძირითადი ტიპები ისტორიულად იქმნებოდა სამეურნეო-ყოფითი, სოციალურ-წოდებრივი და ტერიტორიულ-ეთნიკური ნიშნების მიხედვით. კავკასიის ხალხთა კოსტუმის განვითარების ასეთი ძირითადი მიმართულება ნათლად ჩანს ს. ჯანაშვიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმში გამოფენაზე წარმოდგენილი ტანსაცმლის ძირითადი ტიპების მაგალითზე. ექსპოზიციის მიზანია თვალნათლივ წარმოადგინოს

აზერბაიჯანელი ქალი





აქაიელი (ხენძი) ქალი

კავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიული თავისებურებანი მათი კოსტუმების მიხედვით და ასახოს საბჭოთა კავშირის მძვრ ოჯახში გაერთიანებული კავკასიის ცალკეული ხალხების ეროვნული ტრადიციისა და მხატვრული გემოვნების ნიშანდობლივი მხარეები ახლო წარსულში. თვითყოფილ ელემენტებთან ერთად ტანსაცმლის ამ ფორმებს მოეყოლება ისეთი საერთო ნიშნები, რომლებიც გამოუმჯავებელია ისტორიულად კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური ნათესაობისა და ხანგრძლივი მჭიდრო კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის საფუძველზე. ნოთიერი და სულთერი კულტურის სხვა მრავალ მონაცემთან ერთად, კავკასიის ხალხთა კულტურულ მონაპოვართა საზიარო ფონდის ასეთი ელემენტებია ტანსაცმლის ისეთი ზოგადკავკასიური ტიპები, როგორც არის ჩოხა-ახალუხი, ნაბადი, ყაბალახი, ქალის კაბა-პერანჯი, სარტყელი, ჭვინტიანი ფეხსაცმელი და ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თავსაბურავისა და სამკაულის ზოგი სხვა სახეები.

საექსპოზიციო ჩანაფიქრის ეს ძირითადი იდეა გამოფენაზე გახსნილია ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის ორიგინალური კომპლექტების, მათი თარგების, ჩაცმის წესისა და გავრცელების არეების ჩვენებით. კავკასიის ხალხთა ტანსაცმლის კომპლექტები გამოფენილია მუზეუმის ვრცელ დარბაზში, 28 საგამოფენო კარადა-ვიტრინაში,

ხოლო მათთან დაკავშირებული საილუსტრაციო მასალა გაშლილია 20 დიდ სტენდზე. გამოფენაზე მთლიანად წარმოდგენილია კოსტუმის 250-მდე ერთეული, იშვიათი მხატვრული გემოვნებით შეტარებული ეგზემპლარების სახით და დაახლოებით ამაღნივე მხატვრული ტილო და ილუსტრაცია (კავკასიელთა ტიპები ეროვნულ ტანსაცმელში, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და თავსაბურავის შემადგენელი ნაწილები, ტანსაცმლის ძირითადი ტიპების გავრცელების კარტოგრაფები, ტანსაცმლის თარგები, ორნამენტის სახეები, ნაქარგობა, სამკაული და მოკლე ამხსნელი ტექსტები).

გამოფენაზე ექსპონირებულია ამიერკავკასიის, ცენტრალური და ჩრდილო კავკასიის ხალხთა ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის 20 კომპლექტი და მასთან დაკავშირებული დამხმარე მასალა. გულდასმით შერჩეული და მეცნიერულად გააზრებული საექსპოზიციო მასალის დათვალე რეზივსას მნახველი ეცნობა სომხების, აზერბაიჯანელების, უღების, ოსების, ჩაჩნების, ყაბარდოელების, ჩერქეზების, დაღესტნელების (ავარლების, ანდიღების, კუბაჩლების, ტაბასარანელების) და ამიერკავკასიის ქურთების, ყარაფაჯახების, სტავროპოლის თურქმენების და კავკასიის სხვა ხალხთა კოსტუმების იმ ძირითად ტიპებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო კავკასიელთა ჩამცმულობისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ორ კარადა-ვიტრინაში ცალ-ცალკე წარვენება ქალისა და მამაკაცის თავსაბურავებისა და ფეხსაცმლის ძირითადი სახეები.

საექსპოზიციო მასალა ცხადყოფს, რომ კავკასიის მკვიდრთა ტანსაცმლის ძირითად საერთო ტიპს შეადგენს მამაკაცის ჩოხა-ახალუხი და ქალის კაბა. მამაკაცის ჩოხა წინიდან მთლიანად გახსნილი, გულამოღებული, ვრცელი ზედა სამოსელია, რომელსაც მრავალი ვარიანტი გააჩნია. მისი თარგისათვის დამახასიათებელია წელში გადაკერებული მთლიანი ზურვი, ჩაქები, წინ კალთები, ჩადგმული შეჭრილი გვერდები და განიერი სახელოები. ჩოხის ზედატანი მკვიდრად იყო მორგებული მამაკაცის ტანზე და წელზე გაწყობილი, ბოლო კი განიერი ჰქონდა. წინიდან წველან რამდენიმე დიდი-ქოლოთი იკვროდა, ხოლო ზედ ვერცხლითა და სევალით გაწყობილი ქამარ-ხანჯალი ეტყმებოდა. ჩოხის გულმკერდის ორივე მხარეს რქით, ძლილი, ვიშრით, ვერცხლით ან ოქროზარინით შექმული მასრები ამკობდა. წარსულში გეზობის უმრავლესობის ჩვეულებრივ სამოსელს ჩოხა-ახალუხი წარმოადგენდა. ჩოხის ეს თავისებური თარგი ანიჭებდა იშვიათ შროსა და ლაზათს კავკასიურ ტანსაცმელს, რომელსაც ვ. ი. ლენინი „პოეტური ეროვნულკოსტუმს“¹ უწოდებდა. ჩოხის ამ პოეტური მოხდენილობით, განსაკუთრებით კი ცხენისნოხისათვის მისი ვასაოცარი შეგუების წყალობით იქნებდა ის, რომ კავკასიური ტანსაცმელი ორგანულად აინახებდა ანაშტოვებული ზოგი მუზოზობი ხალხის, პირველ რიგში, რუსი კაზაკების მიერ.

ასეთვე ორიგინალობით გამოირჩევა ქალის ტანსაცმელიც. კანის საერთო კავკასიური ტიპი, ჩოხის მსგავსად წელშია გამოყვანილი, ვიწრო უბისა და განიერი ქვედატანისაგან შედგება და მრავალ ვარიანტს ქმნის. კავკასიელ ქალთა ჩამცმულობის დამახასიათებელ თა-

¹ ვ. ი. ლენინი, ოხზულებანი, ტ. III, 1948 გვ. 704.

ვისებურებას შეადგენს აგრეთვე რთული თავსურვა და ნაირსახივანი სარტყელი (უბრალო ქსოვილისა ხელმოკლეთათვის, ხოლო მოსხვადებული ვერცხლისა ან ოქროსმული ლითონისა — შექმლბულთათვის).

გამოფენილი ტანსაცმელი გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მნახველს აგრეთვე ხალხური საფეიქრო ხელოვნების შესახებ კავასიაში. ამ მასალიდან ჩანს, რომ უშუალო მწარმოებელთა ტანსაცმელი დამზადებულია მეტწილად შინ ნაქოვი შალის, სელის, ზამბის და ზოგჯერ აბრეშუმნარევი ქსოვილებიდან. ბეჭ-საშვერიან ან დვიმ-საყარცხლიან ხალხურ საქსოვ დაზგებზე დამზადებული ასეთი ქსოვილები (განსაკუთრებით ქართული, ლეკური და ჩერქეზული წმიდა და ძვირფასი შალები) ფართოდ იყო ცნობილი ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში კავასიის ვრცელ ბაზრებზე. თურქეთში ნამყოფი საფრანგეთის კონსულის პეისონელის (XVIII ს.). დაკვირვებით ზოგიერთი ჩერქეზული შალი თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდებოდა ფრანგული შალის ნაწარმს, რომელიც მაშინდელ მსოფლიო ბაზარზე საუკეთესოდ იყო მიჩნეული. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ უძველეს ხანაში კავასიაში ფეიქრული ხელოვნების მაღალ დონეზე, კერძოდ კი, ძვირფასი სელისა და შალის ქსოვილების წარმოებაზე საქართველოსა და საერთოდ კავასიაში და მათ საერთაშორისო სააღებ-მიცემო მნიშვნელობაზე ნიშანდობლივად მიუთითებენ ქართული, ასურული, ურარტული, ბერძნული, არაბული და სხვა უძველესი წყაროები და განათხარი ძეგლები. კავასიის ტემის ნაწარმთა შორის ასევე სახელგანთქმული იყო კავასიური ტანსაცმლისა და თავსახურების უძველესი სახეების — ნაბდის ქუდებისა და ნაბდების წარმოება (განსაკუთრებით გრძელბეწვიანი ანუ ბოჭკო მალალი ნაბდები).

გამოფენილი ტანსაცმლიდან აგრეთვე ჩანს, რომ გლეხი ქალების ჩაცმულობისაგან განსხვავებით, შექმლბული ფენების ქალთა სამოსელი მზადდებოდა უპირატესად აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებიდან ოქროტანილი ძვირფასი ქსოვილებიდან (ნაირნაირი ფარჩა, ხავერდი, ოქროქსოვილი და სხვ.). განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გამოფენაზე ქალთა მამოსლის მიდღირული ნაქარგობა და მისი მხატვრული კოლორიტი.

კავასიური ნაქარგობა ხალხური შემოქმედების ძველი დარგია. მისი მხატვრული ნიმუში ბლომად გაპქონდათ უცხოეთში, სადაც ის ძვირად ფასობდა. კერძოდ ქართულ ნაქარგობას საქსპორტო მნიშვნელობა დაკარგული არა ჰქონდა გასული საუკუნის პირველ მეოთხედში. ასე, მაგალითად, 1812 წლის ერთ-ერთ რუსულ ოფიციალურ დოკუმენტში, რომელიც კავასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების მეხუთე ტომშია გამოქვეყნებული, ხაზგასმულია, რომ საქართველოდან იმხანად ირანსა და თურქეთში დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ოქროქსოვილი ნაქარგობა, რომელიც მთელ აზიაში საუკეთესო ნამუზად აღ ითვლებოდა. გამოფენის მნახველი გაეცნობა სხვადასხვა სახის რთული ტექნიკით შესრულებულ მხატვრულ ნაქარგობას, რომელიც აკმობს სომხურ, აზერბაიჯანულ, ყაზარდულ, ჩერქეზულ, ადიღენურ, დაღესტნურსა და სხვა კავასიურ სამოსელს.



სომეხი ქალი

ტანსაცმლის საერთო კავასიურ ელემენტებთან ერთად გამოფენაზე ნაჩვენებია მათი მდიდარი სახესხვაობანი. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია უპირატესად დაღესტნის ხალხებისათვის დამახასიათებელი, ქალის სამოსლის უძველესი კავასიური ტიპი—ტუნიკის მაგვარი გრძელი კაბა-პერანგი, ასეთვე გრძელი შეიღიმი და წინ გახსნილი და წყნში გამოყვანილი ზედა ჩასაცმელი. ასეთსავე ინტერესი იწვევს დიდი მხატვრული გემოვნებით შესრულებული სომეხი, აზერბაიჯანელი, ყაზარდული, ჩერქეზი, უდი, ჩაჩანი, ქურთი, თურქმენი და სხვა ქალთა მეტად მოხდენილი და ელფეროვანი სამოსელი.

მდიდარი საქსპორციო მასალის შორის განსაკუთრებით საინტერესოა კავასიის ცალკეულ ხალხთა ტანსაცმლის დამახასიათებელ თავისებურებათა ამსახველი ისეთი მონაცემები, როგორც არის სომეხი ქალის ძველბური, რთული შედგენილობის თავსურვა, ავარელი და ანდიელი ქალების ორიგინალური კაბა და თავსახურავი, იზგიათი ისტატობით შესრულებული, პატოსანი თვლებით შემკული ვერცხლის ფართო ბალთებიანი სარტყელი, ფერადი სახეებით ნაქსოვი საქორწილო ჭვინტიანი ფხსაცმელი, წერწეტი ტანის გამოსაყვანი ჩერქეზი ქალწულის კორსეტი (ტყავისა) და სხვა ასეთები. როგორც ცნობილია, მზარდი ორგანიზმისათვის საზიანო ამ კორ-



ანდილი ქალი

სეტს აცმევდნენ შიშველ წელზე 10-12 წლის გოგონას, რომელსაც ის გათხოვებამდე გაუხსნელად უნდა ეტარებინა. ქორწილის დროს ნეფე თავისი ხანჯლის წვერით უჭრიდა ამ კორსეტს დედოფალს.

გამოფენის დასკვნით ნაწილში სპეციალურ სტენდზე მოთავსებული შემაჯამებელი ეთნოგრაფიული რუკა ასახავს კავკასიის ხალხთა ტანსაცმლის ძირითადი სახეების შედარებით ტიპოლოგიას გასული საუკუნის მეორე ნახევარში.

კავკასიის ხალხთა კოსტუმის გამოფენა თავისებური სახით ასახავს კავკასიის ხალხთა უძველეს ეთნიკურ კავშირებსა და კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობას, რამაც ჩვენს ეპოქაში, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ინტერნაციონალურ მეგობრობაში ჰპოვა თავისი ისტორიული გამოხატულება.

კავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის სოციალისტური გარდაქმნის შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მათმა სამოსელმა. ძველი ყოფის მრავალი მავნე გაღანაში, მათ შორის, კოსტუმის ზოგი ისეთი ელემენტი, რომელიც ძველად სოციალური უკუღმართობისა და ადამიანის ღირსების (განსაკუთრებით ქალის) დამამცირებელ ნიშანს ატარებდა, წარსულს ჩაბარდა. მაგრამ ხალხური ტანსაცმლის ზოგიერთი ისეთი პროგრე-

სული ფორმა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო შეგუებული ეროვნულ გემოვნებასა და ტრადიციასთან, მნიშვნელოვანი სახეცვლილებებით კავკასიის ზოგ ნაწილში დღესაც განაგრძობს არსებობას, ტანსაცმლის თანამედროვე სახეების გვერდით. კავკასიის ხალხთა უმრავლესობა ნაციონალურ კოსტუმს ამჟამად იყენებს უპირატესად სახალხო დღესასწაულების, ქორწილის, სპორტის ეროვნული სახეების, ხალხური ცეკვებისა და სიმღერების შესრულების დროს. ხელახლა აღორძინდა ოქრომკედის ტრადიციული ნაქარობა, რომელმაც დიდი დაქვეითება განიცადა კაპიტალიზმის დროს.

შემეცნებითი მნიშვნელობის გარდა, კავკასიის ხალხთა ეროვნული კოსტუმის გამოფენას გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს, განსაკუთრებით საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობის მუშაკებისათვის (პირველ რიგში მხატვრულ-დეკორატიული ქსოვილებისა და ტანსაცმლის ახალი მოდელების ავტორებისათვის), რომლებიც მოწოდებულნი არიან შემოქმედებითად გამოიყენონ კოსტუმის თანამედროვე ფორმებში პროგრესული ხალხური მოტივები, ეროვნულ ტრადიციასა და გემოვნებასთან ორგანული შეხამებით.

ყუბაჩელი ქალი



ეპიკოსოები საზოგადოება თეატრალური ცხოვრებით

დოდო ანთაძე



ეპიკოსოებში საზოგადოება ხელისუფლების დამყარების პირველი თვეები იყო. ჩვენს თვალწინ უდიდესი ისტორიული ძეგრები ხდებოდა. დამთავრდა ერთი პერიოდი ქართული კულტურის ისტორიისა და იწყებოდა ახალი ეპოქა, რომლის სიდიადე და გაქანება მაშინ, შესაძლოა, საუკეთესო ყოველი და გათვალისწინებული არ გვეჩინა, მაგრამ ყოველი ჩვენგანი ნათლად გრძნობდა, რომ ძველი გზების ტყენა ქართულ თეატრს დიდი გამოადგებოდა: ახლად დაწყებულიყო ქართული თეატრის აღმავლობა-განვითარების ახალი ხანა, ანდა, თუკი იგი ვერ დადგებოდა თვით ცხოვრების მიერ აღარღულ ახალ ამოცანათა სიმძაღულზე, დაკნინდებოდა, საბჭოთა საქართველოს განახლებულ ცხოვრებას ჩამორჩებოდა, იარსებებდა უსახელოდ და უღიმღამოდ.

ხანდახმულ თაობას უკვე ფიზიკური შესაძლებლობაც კი აღარ ჰქონდა თეატრის გაძლივსა, ხოლო სიცოცხლის-უნარიან ახალგაზრდობას პატარანი არ ჰყავდა. ყველა გრძნობდა, რომ რაღაც იყო საჭირო, მაგრამ ეს „რაღაც“ რას ნიშნავდა და როგორ უნდა მომხდარიყო, — ეს არავინ იცოდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ რეალურად წამოიჭრა უმძიმესი საკითხი — ხომ არ ეძუობინება, რომ თეატრმა შეწყვიტოს მუშაობა? დამკვიდრდა აზრი, რომ უმჯობესია იქნება, თუ თეატრი დროებით შესწყვეტს თავის არსებობას: უნდა შეირჩეს ნიჭიერი ახალგაზრდობა და ორი წლით მინიმუმ გაიკავანოს სასწავლებლად მოსკოვის სამხატვრო თეატრში. კოტე მარჯანიშვილი ამ დროს უკვე საქართველოში იმყოფებოდა. როგორც ხმები დადიოდა, მას განზრახული ჰქონდა უცხოეთში, კერძოდ, ამერიკაში წასვლა. ქართული თეატრის მესვეურებმა იმ პერიოდში ვერ ისარგებლეს კოტე მარჯანიშვილიც კი ყოფინით, არ უფიქრიათ გამოეყენებინათ მისი მდიდარი ცოდნა და გამოცდილება თეატრალური საქმის გასაუმჯობესებლად. სამაგიეროდ, თბილისის რუსული დრამის მსახიობებმა ჩასტიდეს მას ხელი. რუსთაველის თეატრის წინ, ახლანდელ თეატრის სახლში კოტემ ჩამოაყალიბა რუსული დრამატული თეატრი. „თავისუფალი თეატრის“ სახელწოდებით.

აქ მან ძირითადი გაიმყარა ის სექტაკლები, რომლებიც თავის დროზე, მისი ხელმძღვანელობით არსებულ მოსკოვის თავისუფალ თეატრში ან სხვა თეატრებში დადგა: „მწიკან კოტეტი“, „ჩალის ქუდი“, „მომხიზლავი სინათლე“ („Маянский свет“), უალღის „სალომე“ ახალგაზრდა მხატვრის ირაკლი გამარჯავლის გაფორმებით. ეს იყო ირაკლის, როგორც თეატრალური მხატვრის დებიუტი. ისე, როგორც მრავალი გამორჩეული ტალანტი თეატრისა და დრამატურგიაში, ირი. გამეფიკელიც კი. მარჯანიშვილმა აღმოაჩინა.

გულახდობლად უნდა ითქვას, რომ ამ თეატრმა ვერ ჰყოვა სათანადო რეზონანსი. ვფიქრობ, ეს იმიტომ აიხსნება, რომ დასი სუსტი იყო და, მე გვჯონ, ერთი მთავარი მიზეზი კიდევ იმაშიც მდებარეობდა, რომ რეპერტუარი არ შეეფერებოდა იმ დროს, საზოგადოების მანიჭნელ სულიერი მოთხოვნილებას. ეს იყო, არსებითად, ესთეტიკური სექტაკლები, რომელნიც თავის დროზე, პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში, ქვედრდნენ, ცხოველ ინტერესსა და გამოხატვის ჰაობინდენ, თუნდაც ახალი მხატვრული ფორმის გაბედული ძიებებით, მაგრამ ჩვენი ეპოქის უზარმაზარი ძეგრების შემდეგ, ინტერესს მოკლებულნი იყვნენ.

ასეთ პირობებში თეატრმა დიდხანს ვერ გაძლო და მალე დაასრულა კიდევ თავისი არსებობა. შემდეგ, როდესაც კოტე მარჯანიშვილმა ქართულ თეატრში დაიწყო მოღვაწეობა, მას არ უყვარდა ლაპარაკი იმ რუსულ თეატრზე, სადაც ის ახლანა მუშაობდა, ალბათ იმიტომ, რომ იგი არ უნასუხებდა მის მაღალ მოთხოვნილებას, არ იყო მისი მასშტაბის, მისი ოცნების თეატრი.

კოტე მარჯანიშვილის დიდი ქართული აიხსნება ის გარემოება, რომ იგი არ ერეოდა ქართული თეატრის საკითხებში. მისთვის არავის არ მიუკითხავს და არაფერს შეკითხებინა. ალბათ, ისიც უხერხულად ცნობდა მისულოყოფად თავისი მასშტაბური შეუთავაზებინა ქართული თეატრისათვის.

და აი, სწორედ, როდესაც მწვეველ დადგა ქართული თეატრის ყოფნა-არყოფნის საკითხი, განათლების კომისიარატში გაიპარა რამდენიმე თათბირი. ამ თათბირების შესახებ პრესა ვეამცნობს: „შაბათს, 11 ნოემბერს და ორშაბათს 13 ნოემბერს სახ. განათლების კომისიის კამინეტში შესდგა თათბირი ქართული თეატრის შესახებ“. ცნობაში აღნიშნულია, რომ თათბირს დაესწრნენ მწერლები, რეჟისორები და არტისტები, აკადემიური თეატრების მმართველობა და სხვ. შემდეგ ცნობაში წერია: „თათბირზე აღინიშნა ქართული თეატრის საგრძნობი სისუსტე და საჭიროებ, კრიზისი ქართული დრამისა. წინადადება გა-მოიქმნენ საშუალება თეატრის თავის სიმაღლეზე დასაყენებლად. ამ საკითხზე ილაპარაკეს: ა. წუწუწაძე, მ. მ. ქობულაძე, ა. ჭუმბაძე, კოტე მარჯანიშვილი, პაოლო იაშვილი, ა. ფაღავე, ლადო სიმონიშვილი, ა. იმედაშვილი. ორატორების უმრავლესობამ ხაზსუხებით აღნიშნა ქართული დრამის კრიზისი და მოითხოვდნენ სეზონის შეწყვეტას...“

ითითების გადაწყდა თეატრის დახურვა და ახალგაზრდების გაუზავნა მოსკოვში სასწავლებლად, მაგრამ ინტელიგენტთა ერთი ჯგუფის მოთხოვნით (რომელსაც ი. გრიშაშვილი და ბ. იაშვილი მეთაურობდნენ) გადაწყდა საკონსულტაციოდ კი. მარჯანიშვილის მოწვევა. რომლისთვისაც უნდა ეკითხათ, თუ მოსკოვის რომელ თეატრში და რომელ სტუდიაში იყო მიზანშეწონილი ჩვენს ახალგაზრდობის წარუზავნა. სწორედ ამ მიზნით მოიწვიეს კოტე მარჯანიშვილი მეორე თათბირზე, ე. ი. 13 ნოემბერს. კოტე მარჯანიშვილმა გულდასმით მოესმინა თათბირზე მყოფი და სთხოვა, — ნება მიეცათ მისთვის დაედა ერთი საცდელი სექტაკლი. მანამდე კი სეზონი უნდა გაგრძობილიყო. წინასწარ კოტემ მოითხოვა დასწრებულ ქართული დრამის ერთ-ერთ სექტაკლს. ბევრს არც თუ მინავა და მანიჭ მოეწონათ ეს წინადადება, რადგან არ სჩვენ იგი სასარგებლოდ, არ მიაჩნდათ რეალურ, მშვეტურ ცდად. მაგრამ მანიჭ დიდმა უმრავლესობამ კოტე მარჯანიშვილს მხარი დაუჭირა. ვანსაკუთრებით იცავდა მას პაოლო იაშვილი. გადაწყდა დროებით მოეხსნათ თეატრის დახურვის საკითხი და ღლის წესრიგიდან და საშუალება მიეცათ კოტე მარჯანიშვილისათვის დაედა ერთი საცდელი სექტაკლი.

მანამდე კი კოტეს უჩვენეს ქართული თეატრის ერთი წარმოდგენა: ეს იყო იმის ნაკაშიძის დრამა „ვიც არის დანაშავე“ იმ საღამოს სექტაკლს ესწრებოდა მთელი ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია. კოტე დიდ ყურადღებით ისმენდა სექტაკლს. ანტრაკტების დროს დილობდნენ

1 „კომუნისტ“, 1922 წ., 15 ნომბერი.



გავით მისი აზრი, მაგრამ კოტე არაფერს ამბობდა. დასასრულს მანაც შეხედის და შეგითხზენ: „თქვენი აზრი, „ბ-ნი კოტე“—მან მოკლედ უთხარს: „Способные актеры“... და ღიმილით დაუბატა: „Но наивный, детский спектакль“.

ეს უკვე სეზონის დასასრული იყო. სპექტაკლი საგანგებოდ დაიდგა კოტესთვის. დასი შეგებულაში წვიდა. ამ ფაქტს მანაც და მანაც დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია არც საზოგადოებაში და არც დასში, რადგან კოტეს მისი შემოქმედებითი მუშაობის პროცესში ჯერ არაიენ იცნობდა.

ისევ ზესტაფონის დატუბრებით და, ჩვეულებისამებრ, ჩავებით იქ დრამაჟის მუშაობაში. ეს 1927 წლის ზაფხული იყო. იმდენად უიმედოდ მიეჩნებოდათ ყველანი ქართული თეატრის მომავალს, რომ არც თუ დიდად გმირობდით თბილისში დაბრუნებას. მასხოს თეატრის მამონდილე კომისრის დავით ჩხეიძის რადიკალი ტელეგრამა, სადაც მოთხოვდა ჩვენს საჩქაროდ ჩამოსვლას, და გვატყობინებდა, რომ მუშაობა იწყება და რეჟისორად მოწყობილია კოტე მარჯანიშვილი. სწავლის დაწყების დროც ახლოვდებოდა და ჩვენც თბილისისკენ გამოვემგზავრეთ.

ჩვენ ყველას ძალიან გავინტერესებდა კოტეს დანახვა, თუნდაც ცხოვრებით. რადღენიმე ჩვენი მსახიობი მას კარგად იცნობდა. ზოგიერთ მათგანთან ის იუჯახსოვ დადიოდა, მაგალითად, ტასო აბაშიძესთან, რომელსაც, მაგონ, ენათესავებოდა კიდევ ერთხელ, როდესაც ჩემს ამხანაგებთან — მიშა ლორთქიფანიძესთან და შალვა დამანაძესთან ერთად რუსთაველის პროსპექტზე მომიდიოდა, ყურადღებამთავრებით ერთ საინტერესო ამბიანს შევარცხნოლი თმით. ცოცხალი თვალებით, გულია გამომეტყველებითა და მართალი ღიმილით. ის რაღაც სასუბარის უწყებოდა ტასო აბაშიძეს და ისიც გულიანად ხარხარებდა. მიშა ლორთქიფანიძემ, რომელსაც ის წინათაც ენახა, გვიხარბა: „აი, ეს არის კოტე მარჯანიშვილი“—ო, ჩვენი მოწოდებით გაეჩრდილი შორი-ახლოს; ტასო აბაშიძეს მორადებით მივესალმეთ: კოტემ ერთი დამოკლები და კვლავ თავის მოსაუბრეს დაუბრუნდა. დიდხანს ვიყავით გაჩერებული და ზურგში მიგერებოდით, სანამ კოტე არ მიმავლა. ახლაც სახსუს მისი მხენ ნაბიჯები, გამარჯული ბეჭები. პირველი შეხედვითაც მიხედვითი, რომ ბევრი არ იყო მასში მიმზიდველი, როგორც ადამიანი, რასაც, რა თქმა უნდა, დაუმტყველივითაც ის გავიწილი და მოთხრობილი, რაც ჩვენ მის შესახებ ვიცოდით.

რეპერტუარი კარგა ხანს არ იწყებოდა. ამის მიზეზი იყო ჯერ ერთი, მრავალი ორგანიზაციული საკითხის მოუწყობლობა და აგრეთვე ისიც, რომ მსახიობები ჯერ არ ყფენთ თავმოყრილი. საერთოდ, შეგებულების შემდეგ პირველ დღეებში ძნელდებოდა რეპერტუარის ნორმალური კალაბრში ჩაყენება, რადგან მსახიობები შეგებულნი იყვნენ მით, ჩვეულებრივ, გადარდული არიან სისტემატურ მოშობას. მით უფრო ჩვენს მამონდილე პრობებში, როდესაც თეატრი დაქტორულად თითქმის აღარც კი არსებობდა, ერთმა-მად დისციპლინის დამყარება, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელიც კი იყო.

თავი მოვიყარეთ სარეპერტუარი დარბაზში. დანიშნული იყო ლიდი დევეას პიესის „ცხვრის წყაროს“ კითხვა. დარბაზში უნდა წყაბათს მშვენიერი ქართული მეტყველების მქონე მსახიობს ვიოჩრე ფრინოსაოვნი. წინა დღით კარგად ნაკვიდარი იყვნენ ჩვენი მსახიობები. სუფრაზე ბევრი სიტყვა წარმოითქვა ქართული თეატრის მომავალ ბედ-ღალბზე. როგორც სწავლიდათ, რეპერტუარის დაწყების წინ მსახიობები პეპეტაცივდნენ წუხელადელ შთაბეჭდილებებს. — თუ როგორ უნდა მარტოს დრო, რამდენხანს დაიჩნენ სუფრაზე, ისხებუდნენ იმ ღამეს ნათქვამ კონცეპტაცივდნენ სიტყვებს, ანეკდოტებს, ქალკის ქორებს. აი, ასეთი ვანწყობილებების ატმოსფეროში დაიწყო კოტე მარჯანიშვილის პირველი რეპერტუარა ჩვენს თეატრში.

დიდი უმრავლესობა მსახიობებისა კოტეს დარბაზში

დაუხვდა, ხოლო ნაწილი მას შემოჰყვა. მსახიობები კოტეს თაყაბიანად ექცეოდნენ, მით უფრო, რომ უცხო პირებისა ჰქონდათ საქმე. მაგრამ ჩვეულება რეალურ უმტიკობათა, ნათქვამია. რეპერტუარში მანაც ისე ეჭირათ თავი, როგორც ეს წლების მანძილზე სწავლიდა: თავისუფლად, თამამად, მოწყვეტულად, ყოველგვარი შინაგანი მოშობილობის გარეშე. კოტე ამას გრძობდა. პაპროსის მამონდილე სწევდა; აჩნებდა, რომ დიდი უმრავლესობა ხეირიანად არც კი უნდებდა ყურს ტექსტს, ერთიგვარად რაღაცას ეჩრტებოდა. კოტე გაცივრებებით მისჩერებოდა ყოველდღე ამას, ყველას უწყურდდა, პაპროსის წვევას უმატებდა და არაფერს ამბობდა.

პიესის კითხვა დაწყებული იყო, როდესაც ერთ-ერთი საყმაოდ ცნობილი მსახიობი, სახელდობრ, ჩვენი მსყვანის ტასო აბაშიძე შემოვიდა დავიანებით, თამამად წვიდა თავისი ადგილისკენ და, ვითომც უარყოფითად, დაუბა, მხოლოდ მარჯანიშვილს მიუწოდებ მან, სასხვათაშორისად, რებოტა: „ИЗВНИИ, КОТЭ, ЧТО Я ПОПАЗДАЛ“. კოტემ არაფერი უთხარს; უსიტყვოდ წამოხტა ადგილიდან, სწრაფი, ენერგიული ნაბიჯით გაიარა საყმაოდ ვრცელი ფართობი სარეპერტუარი დარბაზისა, მივიდა კარბინთან და უპატივად დააკეტა იგი. კოტეს ამ მოულოდნელმა საქციელმა განაცვიფრა აქტიობები. ყველამ ყურადღება დაძახა. კითხვა გაძივდებდა. ცოტა ხნის შემდეგ ვიკვც მოაღვა კარს და ენერგიულად ჩაჩვიდა, მიონდებდა აღებმა, მაგრამ კარი დაექტილი დახვდა. დარბაზში შემოსვლის მსურველმა ისე მაგრად შეზღუდრა კარი, რომ უპატივად ვერაზხრებოდა და ამას საყმაოდ დიდი ხნაური გამოიწვია. ყველამ სული განაპა, მიეჩრებოდით კოტეს: როგორ მოქცივდა იგი? კოტემ მტკიცად, მაღალი ხმით შესძახა გარეთ მყოფს: „МЫ ЗАИР-ТН!“ — და ამ სიტყვებმა თითქმის სიმობლიური მნიშვნელობა მოიპოვეს. ამ უბრალოდ, მაგრამ მრავლისმთქმელი სიტყვების ქვეტექსტი ასეთი იყო: ახლა ჩვენი დიდი საქმის წინაშე ვდგარით, დიდი ამოცანა გვაქვს შესასრულებელი. აქ ისიც იგულისხმებოდა, რომ კოტე მარჯანიშვილის სახით ქართულ თეატრის მოვლელის ისეთი ადამიანი, რომელიც არაიოვარი კომპრომისს არ დაუწყებს. მისთვის არსებობს მხოლოდ თეატრი, სცენური შემოქმედების დიდი საქმე, რომელიც ყველასგან მოითხოვს მსხვერპლსა და თავგანწირვას.

და მართლაც, მთელი ათი წლის მანძილზე კოტე მარჯანიშვილის უხარკო, თავადღებულ მოღვაწეობა ქართულ თეატრში ამის ნათელი დასტურია. — ის მთლიანად ეკუთვნოდა იუატრს და ჩვენსაც ასეთსავე სრულ თავდადებას მოითხოვდა. ჩვენ ივენე, სარეპერტუარი დარბაზშივე, ვიჭრებდით, რომ იწყება რაღაც ახალი, უჩვეულო, დიდ-დიდნაშენიანობა, რამაც ძირველად უნდა შეცვალის არა მარტო თეატრის ცხოვრება და მუშაობის სტილი, არამედ ყოველი ჩვენგანის პირადი ბედიც.

ქართული ხელოვნების მიმართ კერპულ დანითი გრძნული ძალისა და მომობლობის ცეცხლი. და ამ ცეცხლის ნაწერეკლებში აკავდა ჩვენს გულშიც. აღუდგენელი, იმედგაღვიძებულები გამოვდივით სარეპერტუარი დარბაზიდან.

კოტეს მოსვლასთან ერთად გადაიშალა ქართული თეატრის ოქრის ფურცელი. მან ფართო ზნა და გასაქანი მისცა წინა. მან იმდენად აიღო გაბუღული გვიხი ახალგაზრდობის დაწინაურებისა. კოტეს ჰქონდა ნიჭიერი შემოქმედის მიგნების არაუჭველები კლიონი. ყოველ საქმეტკალში კოტე მარჯანიშვილი ახალ მსახიობს, შემოქმედს გამოაჩენდა ხოლმე, და არა მარტო მსახიობს: ასევე გულმოდინედ მუშაობდაც კი. მარჯანიშვილი რეჟისორთან, მხატვართან, კომპოზიტორთან, დრამატურგთან. ამიტომ არის, რომ ამ უხვად დატვივა თავისი აღზრდილი როგორც სცენაზე, ისე ხელოვნების სხვა დარგებში.

კოტემ ათი წლის მანძილზე რამდენიმე თეატრი ჩამოაყალიბა საქართველოში. მას გააჩნდა რაღაც არაჩვეულებრივი ენერგია. ერთდროულად ის ასწრებდა მუშაობას დრამაში, ოპერაში, ოპერეტაში, კინოში და ცირკშიც; ამას-



ონეგინი — ბერნარდ ნოვაკი
გრეზინი — ედი პოლსიადლი

პოლონელი მსახიობები
ოპერა «ვევენი ონეგინში»


პოლონური

ხელოვნების

ოსტატები

თვილისში

ლენსკი — კაზიმერ პუსტელიაკი



ქართული ოცეში



ასრულებს ბალეტის საოპერო
თეატრის სახელეთა ჯგუფი.





Երկյո — Բաննա Կոլոմբոզնա



ბოზე — ვალაჲ დომენეცი
კარმენი — ლ. გოცირიძე

ჩადამესის როლში — ვალაჲ დომენეცი



თან, მუშაობდა თეატრალურ სტუდიაში, სპექტაკლებს დაგამა მოსკოვში, დანმარეასა და კონსულტაციის უწყებაზე ჩვენს რაიონულ თეატრში, მონაწილეობას იღებდა უამრავ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და ყოველივე ამას დაუზარებლად, ახალგაზრდული ენთუზიაზმითა და კეთილდინამიკით აკეთებდა. მარჯანიშვილი იყო ყველაზე ახალგაზრდული, ხელოვნების ყოველი საკვანძო საკითხის გამრეკვე და სულისამაღმეტი. ერთი სიტყვით, კოტე იყო ახალი ფორმაგის, შესანიშნავი, მოწინავე მოთავსი, უაზრო, თავდავიწყებამდე მისული პატრიოტი თავისი ერისა და თავისი საქმისა. და აი, ზემოა წოლად მარჯუნა ამ უღიღესი შემოქმედის მოღვაწეობის მონაწილე და ახლო მყოფი ვყოფილყავი საქართველოში მისი მუშაობის დასაწყისიდან დასასრულამდე.

მდიდარი და საინტერესო ლიტერატურა შეიქმნა ქართული თეატრის უახლოეს ისტორიის შესახებ. ჩვენი თეატრისცოდნეები გულსანთა და საფუძვლიანად იკვლევდნენ საერთოდ ქართული თეატრის ისტორიას და, კერძოდ, მის შესანიშნავ ხანას, საბჭოთა ქართული თეატრის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პერიოდს. გაჩნდა მეტად საინტერესო მეზოეპოეზიური ლიტერატურა, რომლის ავტორები ჩვენი თეატრის აღმავლობის უშუალო მონაწილეები არიან. მართალია, ამ მეზოეპოეზიური ლიტერატურაში ადვილი აქვს ერთგვარ ტენდენციურობას, სუბიექტურობას, მაგრამ თეატრის ობიექტურად მოაზროვნე მემკვიდრე ფაქტების შეთანხმებითა და შედარებით ადვილად დაადგენ ქმნილობას. ამ მხრე დასა და საბასუბინამებლო მოვალეობას ასრულებს საქართველოს თეატრალური საზოგადოება, რომელიც ჩვენი თეატრის ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებს და ცალკეული მოღვაწეების ნაშრომებს შეფასებასა საგანგებო სისიხისა და სხდომებს უძღვინის ხოლმე. ასევე შეიძლება ითქვას თეატრალური ინსტიტუტის კათედრების შესახებ, რომელიც საფუძვლიანად საკვლევ მუშაობას შეუდგენს. განსაკუთრებული მინდობებითა და დაბეჯითებით მოიკიდეს ამა ხელიც კი მარჯანიშვილის მემკვიდრეობის შესწავლას. განადა ლიტერატურა კი, მარჯანიშვილისა და ქართული თეატრის უახლოეს წარსულზე, უმოკლესად, უკანასკნელი 10-15 წლის თეატრალურ ცხოვრებაზე. ამ მოვლენას თავისი მიზენი აქვს.

მკვლევარებს განსაკუთრებით აინტერესებთ გააშუქონ ურთიერთობა კი, მარჯანიშვილსა და ალ. ახმეტელს შორის, რუსთაველის თეატრსა და კი, მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით 1928 წელს ჩამოყალიბებულ თეატრს შორის.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს თეატრები ურთიერთისადმი თითქმის დაპირისპირებული იყვნენ და ერთმანეთს ეჯობებოდნენ. ჯანსაღი შეჯიბრება საერთო სამსახურისთვის, რა თქმა უნდა, ყოველთვის სასარგებლოა და კი, უდავოდ, კარგი შედეგი მოაქვს. მაგრამ ხშირად ადვილი აქვს მივიჩნიოთ, შენეების, მემკვიდრეობის ტენდენციურ შეფასებას, ურთიერთ ანგარიშსწორებას. ჩემი აზრით, სწორედ ასე მოხდა, როცა კი, მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამ ბრძოლაში, ვფიქრობ, თავი იჩინა არაუკანსად მომენტებმა. საზოგადოება თითქმის ორად გაიყო. დაისვა საკითხი, ვინ ვის სჯობია, რომელი თეატრია უკეთესი? ვისაც ერთი თეატრი მოსწონდა, ცდილობდა მეორე ძირფესვიანად უარყოს. რა თქმა უნდა, ასეთი დამოკიდებულება ვერცა ორივე მხარეს კი, მარჯანიშვილს ასეთი ბრძოლის არც საყურადღებო ჰქონდა და არც მისწრაფებდა. არ სურდა ეწინააღმდეგებინა ამ ხის დიპლომატიური თუ პირდაპირი შეტევები. მე მგონია, ეს უპირისპირო კონკლავს ასევე დიდად უშლიდა ხელს ალ. ახმეტელს. ერთმანეთს უპირისპირებოდნენ გუშინდელი ამხანაგები. ჩემი საზოგადოების გარკვეული ნაწილი, იმ პირობებით, რომ „არაფის ნაწიწიწი“ სდუმდა და გვერდზე იდგა. მაგრამ ამ უარყოფით მხარესთან ერთად, თეატრთა ასეთ დაპირისპირებას დადებითი მხარეც ჰქონდა. იგი ორივედა ცხოველ ინტერესს ორივე თეატრისადმი, აფხიზლებდა თეატრთა კოლექტივებს. ისინი მუდმივ მზადყოფნის მდგომარეობა-

ში იყვნენ, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ თავი მეს. ათათიონი გულმოდგინედ მუშაობდა სახის გახსნაზე, მხატვარი — დეკორატიულ გაფორმებაზე, რეჟისორი — სპექტაკლის შექმნაზე. ასეთ თუ ისე, როდესაც ეს ვნებანი მიწყარდნენ, საზოგადოებას საშუალება მიეცა ღირსეულად შეფასებინა ჩვენი თეატრის განვითარების ცალკეული ეტაპები და საბათიო ადგილი მიენიჭებინა მათი მესაყურებისათვის.

დღეს ყველასათვის უდავოდ და ცხადია, რომ კოტე მარჯანიშვილის სახელობა, მართლაც, დაკავშირებულია ქართული თეატრის აღორძინება და რომ მარჯანიშვილი ქმნილობის რეჟისორისა და მხატვრის საბჭოთა ქართული თეატრისა. უდავოდ ნიჭიერი და მეტად საინტერესო რეჟისორი ალ. ახმეტელი, რუსთაველის თეატრისად კი, მარჯანიშვილის წასვლის შემდეგ, ღირსეულად უძღვებოდა წლების მანძილზე რუსთაველის სახელობის თეატრს. მან მრავალი რამ სწორად გამოიყენა მარჯანიშვილის მემკვიდრეობიდან, შეიტანა მათი რიგი ახალი ნიუანსები და ამით გაამდიდრა და გააძლიერა ქართული საბჭოთა თეატრის როლი და მნიშვნელობა. კოტე მარჯანიშვილის მიერ დატოვებული და დამკვიდრებული ტრადიციები მუშაობენ დღეს ჩვენი წამყვანი თეატრები. კოტე მარჯანიშვილის მიერ აღზრდილი კადრები დღესაც აწვნიებენ ქართულ სცენას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ახალი არაფერი მოხდა. თეატრალური კულტურა წინ წავიდა, აღიზარდა მთელი მლავა ახალგაზრდა მსახიობებისა და რეჟისორებისა, გაიზარდა, საერთოდ, პროფესიული მოთხოვნები თეატრის მუშაისადმი.

ერთხანს საბჭოთა თეატრის დამკვიდრებული იყო აზრი, თითქმის რეჟისორს თამამად შეეცდეს და მის მიჯიგრობას ვაწყვეტს წამყვანი მსახიობი, მაგრამ ეს აზრი ცხოვრებათ ამ გაამართლდა და მისი შესაბამისი პრაქტიკული ცდები მარცხით დამთავრდა. უკანასკნელად საბჭოთა თეატრში კვლავ წამოიბნა საკითხი რეჟისორის წამყვანი როლის შესახებ. პოლი წლებში ამ საკითხს ბევრი პირიანიცხლავდა ანდა მომღიწიური ხასიათის წერილი მიძღვნა და როდესაც ასე თუ ისე ცნობილი თეატრისცოდნეები რეჟისორის წამყვან როლს ასაბუთებენ და ასახელებენ რეჟისორებს კი. სტანისლავსკის, ნემიროვიჩ-დანჩენკოს, მიერ მოხდეს და ვახტანგოვს, მათ ვერითი ყოველთვის ნახსენებია კოტე მარჯანიშვილი, როგორც რუსული სცენის მოწინავე, წამყვანი, ნოვატორი რეჟისორი. ამ მხრე მეტად საკუთრებისა კი, კრიტიკის ახლანდელ გამოქვეყნებით „მონარაფია“ კოტე მარჯანიშვილი და რუსული თეატრი მორომზღავდა საქმის ღრმა ცოდნითა და მნიშვნელოვან ფაქტოლოგიურ მასალად დაყრდნობით განხილულია კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა რუსულ თეატრში. ეს კიდევ ერთხელ ამატკიცებს იმას, თუ რაოდენ დიდი შემოქმედით ჩაუღდა საბჭოთა ქართული თეატრის ბედ-ბაზლს 1922 წლის სეზონში, იმ სეზონში, რომელიც გადაიტეცა ქართული თეატრის გარდაცვლის საწყისად.

საბჭოთა საქართველოში კი, მარჯანიშვილის მოღვაწეობას წინ უსწრებდა მკვეთრი თანაფიქრებით და ვაძველები ძიებებით აღსავსე მისი ადაპტაციული შემოქმედებითი მუშაობა რუსულ თეატრებში. ვიატკა, ირკუტსკი, კიევი, ხარკოვი, ოდესა, ნიჟნი-ნოვოროდის ანტარპირაზა ჯერ ორგანიზაციული მხარე მოსკოვში — ასეთა გზა კი, მარჯანიშვილის სარეჟისორი მუშაობის 1903—1910 წლებში. სწორედ ამ ხანებში ჩამოყალიბდა კი, მარჯანიშვილი, როგორც დიდად ნიჭიერი, ორიგინალური რეჟისორი და ნოვატორი, საყოველთაოდ აღიარებული თეატრალური მოღვაწე. ეს ის ხანა იყო, როდესაც ხელოვნებაში საერთოდ, თეატრსა და დრამატურებაში კერძოდ, მძლავრად ვიღვდა ფსკენის სხვადასხვა ყაიღის დეკადენტურა, სიმბოლურება და იმპროვიზირება მძინარეობდა. რომელსაც ვერც კოტე მარჯანიშვილი აცდა. მაგრამ გაიზარა რა პირობითობის

2 Г. Гржибский, К. А. Марджанов и русский театр. ВТО. Москва, 1958.



ნაწყობის სცენაზე, იგი არ გათიშვია რეალიზმს ხელოვნებას, როგორც ეს მოუძლია სხვა დეკადენტურ-რეგისტრებს, მაგალითად, ევრეინოვს. რეალიზმისაკენ სწრაფვა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა კ. მარჯანიშვილის სატირის-ორო რეაქტურაში. იმ წლებში კოტე ამ დღეა მიიღო წყვე სამიონისტური პიესებისა: ინსენის „რისმანსკოლში“, „ქალი ზღვანზე“, პაუტმანის „მანელა“, „შლიცი და იაუ“ და „ჩაძირული ზარი“, ლონინდ ანდრეევს „ადამიანის ცხოვრება“ და „შავი ნიღბები“, მეტერლინსკის „ლურჯი ფრინველი“ და „პრინცესა მადონი“, დანუციოს „ჯი-ოვოსკა“, ჟუკო ფონ ჰოვმანსტალის „ლეტერა“, ფშინი-შეისის „ოთლი“, ლონ ფონ მაგარამ ამავე წლებში კოტე დიდი ენერჯითა და მონღომებით ახორციელებდა სცენაზე რეალისტ მწერალთა ქმნილებებსაც. მისი სატირის-ორო ისტატობა გაწავა და სრულყო ისეთ შესანიშნავ დრამატობა ნაწარმოებების დადგამა, როგორებიც იყვნენ ა. ჩხოვი „ძია ვანო“, მინიატურები „სამა და“ და „იგანოვი“, გრიბოედის („გვი ამკუსსავან“), გოკოლი („რევიზორი“), ლეე ტოლსტოი („ადღაობის“ ინსცენირება, „წყვიდაის მუშევა“, „განათლების ნაყოფი“), თ. დოსტოევსკი („ადიოტის“ ინსცენირება), ნაიდინოვი („ვინი-უშინების ოჯახი“) და „აუტოდის ცხოვრება“, ა. ისტეროვსკი („გოგოლი“), ტალანტევი და თავყანისცემული „ტაქა“, „მცხუნარე გული და სხვ.). კ. მარჯანიშვილის მეგობარი დიდი მწერალი მაქსიმ გორკი („მადამონი“, „ოთმა გორდევის“ ინსცენირება, „ფსკერზე“, კ. მარჯანიშვილის ცხოვლი დადგმა „მოჯარაკენი“, რომელმაც 1905 წელს მთელი თეატრალური მოსკოვი აღტაცებაში მოიყვანა და სხვ.) და დასავლეთის კლასიკოსები: შექსპირი („ჰამლეტი“, „ოტელი“ და სხვ.), შილერი („ვილჰელმ ტელი“, „ლო კარლოსი“), გუცოვი („ურთიელ აკისტი“) და ინსენის რეალისტური დრამები („ნორა“, „ექიმი შტოკმანი“, „მოჩენებანი“ და „ზიოთა ტახტისათვის“).

თეთი მოღერისტილი პიესების კ. მარჯანიშვილისეულ დადგებში პრობოითი ფანტასტიკით აღბეჭდილი იყო სექტატალის გარეგნული ფორმა, მისი ბუნებრივი მხარე, ხოლო პიესის შინაგანი არსი, მოქმედ პირთა სულიერი სამყარო და მათი სცენური სახე უფლებს იყო რეალისტური, ფსიქოლოგიური სიმაღლითა და დამაჯერებლობით. ხან ფერთა შერჩეული ნიუანსებით, ხან ზღაბრული სიჭრელით გატაცება, სინათლის არაჩვეულებრივი ეფექტების გამოყენება, თითქმის მოქანდაკის მიერ გამოიჭრელი ორიგინალური მიზანსცენების შექმნა, — ყოველივე ეს იყო არა თვითმზნობრივი ფორმალისტური თავის შექცევა ხელოვნებისა, არამედ ძიება ახალი, არატრადიციული, შინაარსთან ორგანულად თანშერდილი ფორმისა. იმ წლებში, როდესაც დეკადენტურ-რეგისტრების უფარულსობა რუსეთში და საზღვარგარეთ მხატვრების გამოჩნდა, დეკორაციის პირველ მანქან წამოსობა, მსახიობის კი მეორეხარისხოვანი როლი მიუყუთნა, კოტე მარჯანიშვილმა ამოცანა დაინახა, უპირველეს ყოვლისა, ეჩვენებინა სცენაზე მსახიობი, მისი გრძობაობა სიღრმე და სიმაღლი. ამ მიზნით დი-ნიწყუ მუსიკის გამოყენება, სცენური სახის სულიერი მოძრაობის უფრო მეტი სიღრმით გასახსნელად და სცენაზე საკუთო განწყობილების შესახმნელად.

ცნობილი თეატრმეცნიერ ვოლკოვის სწორი დასკვნით, ეს გრავალისებური ძიება, შფოთვა, გაბედული რეგულაციური ნოვატობობა, სექტატალის კომპონენტების მხატვრობისა და მუსიკის ახლებრება გამოყენება სცენაზე, — ყოველივე ეს კოტე მარჯანიშვილის მაღლიანი ნიჭის უმეორფესესი თვისება იყო. მუდმივი ძიება მას ნებას არ აძლევდა შეჩერებულიყო მიღწეულზე, დაკმაყოფილებულიყო მოპოებულით. მან იცოდა, რომ გამარჯობების ის ხელოვანი, რომელიც მულამ შემოქმედებით ტანჯავა-სინარულში ირყის, სულ ახალსა და ახალს ეძებს. ამ მიზეზ მტლად საინტერესოა კოტე მარჯანიშვილთან გახუო „КНЕВЯНИН“-ის თანამშრომლის ინტერვიუ 1907/8 წლის სეზონის წინ. ამ ინტერვიუში კ. მარჯანიშვილი


ფართოდ აშუქებს თავის შეხედულებებს თეატრალურმა ცდებებმა ათასობა და დახითხულაზე. იმ დროს „ნიმანსკი“ ლი კიეველი ჟურნალისტის ეს ჩაგოვეცის მიერ ჩაწერილი ეს საუბარი, რომელიც გრცლად მოჰყავს ვ. კრივიციის შემოსხმებულ წიგნში, ირკვევა, რომ რეაქციის წლებშიც კი, როდესაც დამინებელი და დაინებებული საზოგადოებრივი აზრი გარეგნულად ყოველგვარ იდენტობას ხელოვნებაში, კ. მარჯანიშვილი ამტკიცებდა: „თეატრს არა აქვს უფლება არ უბასუბოს თავისი დროის საკითხებს და ინტერესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უსიკოცლო იქნება. ხელოვნება კი ცოცხალი და ცხოველყოფილი უნდა იყოს“³. შემდგომ ცოცხალი ხდება, რომ კ. მარჯანიშვილს არ სურს თეატრი მეშინაური მაყურებლის იაფფასიანი გემოვნების დონეზე დაედეს. პირიქით, რაგინდ მხელი არ იყოს, „მაცურებელი უნდა ავიყვანოთ შვენიერების აღქმის სიმაღლედ“. ინტერვიუების კითხვაზე, თუ რომელი სცენური სტილის მოძიება კოტე მარჯანიშვილი, — მხატვრული თეატრის რეალიზმისა, თუ მაქს რინსაბრტის და გსევი-მოდე მეიერჰოლდის პირობითი სტილიზაციისა, კოტე მარჯანიშვილი უბასუბებს, რომ იგი ვერ შეზღუდავს თავის შემოქმედებით დაბასუბოს ერთი რომელიმე მხატვრული სტილის ფარგლებში. თეთი პიესის შინაარსი და ავტორის შინაგანი განსაზღვრავს სექტატალის სტილს. არ შეიძლება ყველა პიესის ერთსა და იმავე სტილში დადგა: „თუ მე შევეძლებ ჩაწვედ ავტორის სულს, მის პათოსს, გავუხსნა იგი მსახიობებსა და მივადწიო იმას, რომ, კოლექტიური შემოქმედების გზით, ეს „სული“ მაყურებელმა გაიგოს, ჩემს ამოცანას შესრულებულად ჩავთვლიდი. მე ვერ უფლებეულყოფ ვტყვიას იმ წარმატებებს, რომელთაც გაერთიანებული ძალითონი მაღლივ თანამედროვე მოღერისტებმა, მაგრამ პირველობას მაინც პიესის იდეის ევნარჩუნებ და არა დრამირებას, დეკორაციებსა და სინათლის ეფექტებს. პოეტს, რეჟისორს და მსახიობს, როდესაც ისინი ერთმანეთს ერთს იღაწუ შეერწყმინა და მას ცოცხალ გაქმსახულებას მისცემენ, — აი ის, რისკენაც ჩვენ უნდა მივსწრაფობოდ“⁴.

კ. მარჯანიშვილი ნათლად სასაბუთებს, რომ არ შეიძლება ერთხიარ სტილში დაეჯდეს და ვითამაშოთ გოგონი და ანდრეევი, შექსპირი და პაუტმანი. მსახიობის თამაში ყოველივის ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი, მართალი, კ. ი. რეალისტური უნდა იყოს, ამ ცნების ფართო გაგებით, მაგრამ დადგმის გარეგნული ფორმა შეიძლება იყოს პრობოითი, სტილიზებული, ანდა ყოფა-ცხოვრებითი, რეალისტური, — თეთი პიესის სტილის შესაბამისი.

ამავე ინტერვიუში კოტე მარჯანიშვილი მტლად საინტერესო პასუხს იძლევა რეჟისორისა და მსახიობის ურთიერთობის საკითხზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეჟისორმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეზღუდოს მსახიობის შემოქმედებითი ეგობა: „მე არ ვპაირობ ვინმეში ინდივიდუალობის ჩაკვლას. ჩემი საქმეა ცხადყო პიესის იდეა, გაავადვილო მისი გაგება, შეავადვილო მსახიობი, ავხაზო მასში შემოქმედებითი ცეცხლი, გაავარდნიო ინდივიდუალური განწყობილებანი საერთო სიმფონიო აკორდში... მაგრამ შეთვინების ჩაკვლა — არასდროს შეცდომების ჩაღვსისაგან ვაფარებოდებ. მაგრამ სალეთო ცეცხლზე ხელს როგორ გავაზრთავ, როდესაც ვიცი, რომ სწორედ ამ ცეცხლში იწრთობა იდეა მიელ მისი შვენიერები“⁵.

ამგვარად, რეაქციის თარეშისა და ფორმალისტური მხედონების საყოველთაო ვაქისცელების წლებშიც მარჯანიშვილი ღრმა იდებური, ეპოქის სიკაღალი პრობლემაზე პასუხის გამცემი, რეალისტური ხელოვნების მომხრე იყო. ორგანული კავშირი რეალიზმთან, ახალი ფორმების და-

³ Г. Кривицкий, К. А. Марджанов и русский театр, 1958, стр. 38.
⁴ იქვე, 33, 39.
⁵ იქვე, 33, 41.



ე. ანდრონიკაშვილი

სარწყვეთი არხი
(ფერადი ავტოლოთოგრაფია)



ა. როინიშვილი

შვიდობის მტრედები

ყინებითი ძიება, სამყაროს ოპტიმისტური აღქმა, — ყოველ-
ღეუ ეს ანსხვავება კოტე მარჯანიშვილის დეკლარაციურ-
სიმბოლური სტილით გატაცებული სხვა რეჟისორები-
საგან.

„ამ ფონზე კოტე ბრწყინვალე ფიგურა ჩანდა. თუ
სხვები ეძებდნენ თეატრში აშკარად გამოსახულ კელსებს
ფორმებს და ხიზანსებს, ლამობდნენ დახვეწილი იმპრესიო-
ნიზმის გამოვლინებას, მარჯანიშვილის, თავისი ქართული
ტექნიკით, შემოქმედდა რეალიზმის ნათელი ფერა-
ღები და, ამ აზრით, იგი, როგორც რეჟისორი, უეტრად გა-
მორძა და უცნაურად გამოვლინდა თავისი სახე. და თუნც
ამ სახის დადასაბუთებული ნიშნები არ იყო ღრმად შეცნო-
ბილი თვით ამ მაძიებელი რეჟისორის მიერ, ისინი განს-
ვადებოდნენ იმდროინდელი პოეზიის, ფერწერის, თეატ-
რის და სახეის ხელოვნების სერიოზულ ნაწილსა თავისი სა-
ზემო ხასიათი და რეალიზმი“ (ა. ლონსაჩაკი. 1930 წ.
30 მაისს მოსკოვში მარჯანიშვილის თეატრის გასტროლებ-
თან დაკავშირებით წარმოთქმული სიტყვები). იმ წლებ-
შიც კი, რომელთაც მაქსიმ გორკიმ ყველაზე სამარცხენი-
ოდ და ყველაზე უხიბლოდ უწოდა რუსული ინტე-
ლიგენციის ისტორიაში, როცა საზოგადოების რევოლუცი-
ური გარდაქმნის შესაძლებლობაში იმედგაცრუებული ხე-
ლოვნების მოღვაწეები უხიდადგო ესთეტიკისა და უეტრ-
პექტორუ პესნიშმის ლაბირინთში მოემყუდნენ, კოტე
მარჯანიშვილი თავისი მაღლიანი ზუნებისა და ბრწყინვა-
ლე ნიჭის ჯანსაღი საწყისების გამო, არ ჩაიძირა სიმბო-
ლიზმისა და მისტიციზმის ჭაობში.

გასაკვირა ის მოტივენი, რომლებითაც ხელმძღვანე-
ლოდნენ სამხატვრო თეატრის მესუვენი, როდესაც მათ
რეჟისორ-დამამჯღმელად კოტე მარჯანიშვილი მიიწვიეს.
სამხატვრო თეატრს იმ დროს დაუადებულები იყო საყოფა-
ცხოვრებო დეტალებით გადატვირთული რეალიზმის, თით-
ქმის ნატურალიზმის სენით. გამოსავლის ძიებაში თეატრი
გაბედულ ცდებს, ექსპერიმენტებს მიმართავდა: უმნიშვნე-
ოებებზე იმპრესიონისტულსა და სიმბოლისტურ ხერ-
ხებს ისეთ სექტებებში, როგორც იყო ლეონიდ ანდრე-
ევის „ანათემა“ და „ადამიანის ცხოვრება“, მეტერლინიკის
„ლურჯი ფირიველი“ და სხვ. თეატრი იმედოვნებდა, რომ
თავისი რეალისტური ტრადიციების შესაბამისა კ. მარჯანი-
შვილის გაბედულ, ნოვატორულ ნიჭთან და მკვლევარე
ტექნიკურებთან განახლებდა თეატრის შემოქმედებით
ცხოვრებას და გაუადვილებდა ახალი გზების ძიებასაც.
მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სხვანაირად მოხდა. კო-
ტეს გრავალიზაციონიზმ ნიჭმა დაამსხვრია სამხატვრო თეატ-
რის მიერ მისთვის მიკუთვნილი ჩარჩოები. კ. მარჯა-
ნიშვილის ბრწყინვალე დადგმები სამხატვრო თეატრის
(ანუტ ჰაშუსინს „ცხოვრების ბრწყინვალეში“ და ისენის
„პერ გუნტი“) თეატრალურმა საზოგადოებრიობამ აღ-
ფრთხილებით მიიღო, მაგრამ სამხატვრო თეატრის ხელ-
მძღვანელობამ კოტე მარჯანიშვილის სარეჟისორი სტილი
მიიჩინა გაუფრთხილად და სამხატვრო თეატრის
რეალისტური ტრადიციების უარყოფად. ასეთი შეფასება
მიუღებ უსაფუძვლო როდი იყო. ცნობილი თეატრმცოდნის
ვოლკოვის სწორი დახასიათებით, სამხატვრო თეატრის
ფსიქოლოგიური რეალიზმი... კოტეს დადგმებში... ყოველ-
თვის „რომანტიზმის ახალი ფერადობისა და ესტეტი-
კური ხელოვნებობა და პიესა „ცხოვრების ბრწყინვალეში“ აქ-
ლედდა, როგორც ისეთი სექტული, სადაც მუსიკალური
საწყისი ფსიქოლოგიური უფრო მოიჭირა. ამ გაერებობამ
ისე გაიტაცა სხვა სკოლითა და სხვა სისტემით აღზრდილი
მსახიობები, რომ, მართლაც, ბრწყინვალე წარმოდგენა გა-
მოიყვანა. კოტე მარჯანიშვილი ვერ მოთავსდა სამხატვრო
თეატრში. ეს გასაგანიცაა: კ. მარჯანიშვილსა და სამხატ-
ვრო თეატრს შორის დიდი განსხვავება იყო“ (ვოლკოვი, —
სიტყვა, წარმოთქმული ხელოვნების შენეირებათა სახ.
აკადემიის საზეიმო სხდომაზე, 1930 წლის 5 მაისს, სტე-
ნოგრამა).

მუსიკის, ფერადობისა და სინათლის გაბედული გამო-
ყენება მოქმედებდა პირთა ფსიქოლოგიური განცდების აქცენ-

ტაციისათვის, სკულპტურული მიზანსცენები, რომანტიკუ-
ლი, საზეიმო გასწობილება სცენაზე. — ყოველღეუ ეს არ
ეგუებოდა სამხატვრო თეატრის მიერ წლების განმავლო-
ბაში გამოუშვებულ სტილსა და სცენურ პრინციპებს.
ამიტომ კოტე მარჯანიშვილმა თავი დაანება სამხატვრო
თეატრში მუშაობა და გაცხოველებით დაიწყო სამხატვრო
საუკეთესო თეატრის შესქმნელობა. რომელშიც „თავისუ-
ფალი თეატრის“ სახელით ჩამოყალიბდა ცნობილი 1912
წელს. კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებით ცნობილ-
ში სულ უფრო და უფრო ნაოლად ისახებოდა სინთეზური
თეატრის იდეა. თეატრი ხომ ყველა ხელოვნებათა სინთე-
ზია. თვით სახელწოდებამ ახალ ჩამოყალიბებული „თა-
ვისუფალი თეატრის“ მეტყველებდა იმაზე, რომ მისი
ხელმძღვანელი უარყოფს დახასიებული აკადემიზმის ყვე-
ლა ფორმას და შემოქმედების სრულ თავისუფლებას მოი-
თხოვს. სინთეზის იდეას „თავისუფალი თეატრში“ ორმაგი
განსახიერება უნდა მოეპოვებინა: ჯერ ერთი, ეს იყო თე-
ატრი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავისებური თეატრა-
ლური კომპონატი, რომლის სცენაზე იდგმებოდა ქანობ-
რები და სრულიად განსხვავებული სცენური ნაწარმოებები:
ოპერა, ოპერეტა, პანტომიმა და სხვა. ეს კი მისი ხელ-
მძღვანელისა და რეჟისორის ტალანტის სიმდიდრესა და
მრავალმხანაოებანებას გულისხმობდა. ამასთან ერთად,
და სწორედ ეს იყო არსებითი, „თავისუფალი თეატრის“
მსახიობებიც ჭეშმარიტად სინთეზური ნიჭით უნდა ყოფი-
ლიყვნენ დაჯალბოდნენ: ისინი უნდა დაუფლებოდნენ
არა მარტო მსახიობის ოსტატობას, არამედ სიმღერას,
ცეკვას, სცენური ქეცისა და მოძრაობის მაღალ კულტუ-
რას. ეს იყო პირველი კონკრეტული ნაბიჯები რთულსა და
ხელოვნების მრავალი დარგის გამაერთიანებელ თეატრა-
ლურ ხელოვნებაში ჭეშმარიტი სინთეზობის განსახორ-
ციელებლად.

„თავისუფალი თეატრის“ არსებობა ხანმოკლე, მაგრამ
მუდგაფა და მტად ნაყოფიერი იყო (1912-1913 წლები).
თეატრმა იარსება მხოლოდ ერთი სეზონი და განასორციე-
ლა ოთხი დადგმა: ოპერა „სოროჩინის ბაზრობა“, ოპერეტა
„მშვენიერი ელენე“, პანტომიმა „ბეატრიჩეს მოსასხამი“
და დრამა „ყვეთლი კანთა“. ეს თეატრი იყო არა მარტო
სინთეზური, არამედ ახდვილად თავისუფალი და ახალი.
მარჯანიშვილის რეჟისორებმა გაქაქებამ აქ შესწინავე
ასახარეზი მოიპოვა. „თავისუფალი თეატრის“ დადგმებმა,
განსაკუთრებით, „მშვენიერმა ელენემ“ მოხიზლა თეატრა-
ლური მოსოვი. ეს დადგმა გადაიქცა ოპერების ახალი
გზების ძიების საწყისად. რადგან თეატრის დადგმებზე
გაწეულ უზარმაზარ ხარჯებს შემოსავალი ვერ ანაზღა-
ვებდა, თეატრი დაიხურა. „თუნც თეატრის არსებობა კა-
ტასტროფად დამთავრდა, მაგრამ ეს კატასტროფა უფრო
სასახლო იყო, ვიდრე სხვა გამარჯვება“ (ვოლკოვი).

რუსულმა თეატრალურმა საზოგადოებრიობამ და თვით
„თავისუფალი თეატრის“ შემოქმედებითმა კოლექტივმა
ამ თეატრის დახურვა განიცადა, როგორც ტრაგიკული
კატასტროფა, როგორც გაცრუება მშვენიერი ოცნებისა
იდეალურ თეატრზე. აი, რას უწერს „თავისუფალი თეატრ-
ის“ უკანასკნელი დღის შესახებ ვ. კრიციკი: „1914
წლის 20 აპრილს შესვდა „თავისუფალი თეატრის“ უკა-
ნასკნელი სექტული. იდგმებოდა მუსორგსკის „სოროჩი-
ნის ბაზრობა“, რომელითაც გაიხინა თეატრის სეზონი.
თეატრმა გაქვლები იყო. საზოგადოებმა იმყოფებოდნენ
თეატრის ხელმძღვანელები, რეჟისორები, მსახიობები,
კრიტიკოსები. უკანასკნელად გაიხინა სომოვის საუცხოო
ენადა. სექტულის დასასრულს, საზოგადოების მოთხო-
ვით, სცენაზე გამოვიდა მთელი ამის კოტე მარჯანიშვი-
ლისა და მისი უხლოესი თანამშრომლების — რეჟისორ
სანიინსა და დირიჟორ კ. სარაჯიშვილის მეთაურობით.
აქოდისმდებნი და შეძახილები თეატრში ელენეზრდა.
ფაღვის ჩამოშვების შემდეგ კონსტანტინე ვალკანდრეს
ძე გამოთხოვა დასს. ის მტად აღლევებული და გულ-
აყუყუებული იყო, ცერმებზე ვეღარ იკავებდა, ბვერი მსა-
ხიობი ტიროდა, ქეთინდნენ კიდევ...

ქართული ენის ფონეტიკურ თავისებურებათა საკითხისათვის მოკალწრ ხელოვნებაში

გიორგი გოგიჩაძე



მა თუ იმ ერის ეოკალური შემსრულებლობის ნაციონალური ფორმა მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაციონალური ენის ფონეტიკურ თავისებურებასთან და ბევრად განისაზღვრება ენის ამა თუ იმ თვისებებით.

გუგუნის, ფლტაუს და სხვა მეცნიერთა აზრით, სასიმღერო ხმის განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე ენის ფონეტიკურ თავისებურებათა გავლენა ემყარება თუნდაც იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა ეროვნების ახლად დაარსებულ მავშეთა მიერ გამოვლინებულ ბგერები ძირითადად არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რაც შეეხება ასაკში შესულ ადამიანთა მიერ გამოვლინებულ ბგერებს, ისინი როგორც ფიზიოლოგიურად, ისე აკუსტიკურად, ბევრად და გარკვეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

გარანდებულბურჯის, შტუტფის, ჰელდენბურჯის, შერბანს, ბოგოროდისკის, ახვლედიანისა და სხვათა აზრით, ადამიანები, რომლებიც ლამაზაობენ ორ სხვადასხვა ენაზე, ამქვლებენ ამ ენებში სამეტყველო ტონის სხვადასხვა სიმძალეს.

ეოკალურ პედაგოგიაში ცნობილია, რომ ყველა ერის ხალხური მომღერლები (ისევე, როგორც ის მომღერლები, რომელთაც არ შესწავლიათ პროფესიული სახის სიმღერა), თავის სიმღერას საფუძვლად უდებენ სამეტყველო ჩრევეებს, მღერაბან სამეტყველო ხმოვნებზე.

